ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა

და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის

სხდომის ოქმი

N26

12.02.2019
12:00 საათი

ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი N2
ოთახი 2-01

მიმდინარე წლის 12 თებერვალს, 12:00 საათზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომა გაიმართა.

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: გიორგი ჩაკვეტაძე (კომისიის თავმჯდომარე), დავით ჭელიძე (კომისიის წევრი), ლევან ჯაფარიძე (კომისიის წევრი), ავთანდილ ცინცაძე (კომისიის წევრი) დავით რურუა (კომისიის წევრი), შალვა ოგბაიძე (კომისიის წევრი) და მარინა დათუკიშვილი (კომისიის წევრი).

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე ზაზა ცინაძე, ასევე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის თანამშრომლები.

სხდომის უფლებამოსილება განისაზღვრა სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის 7 (შვიდი) წევრის დასწრებით.

სხდომას თავმჯდომარეობდა -გიორგი ჩაკვეტაძე

სხდომის დღის წესრიგი:

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-031903982-03, 08.02.2019) (მომხსენებელი - ზაზა ცინაძე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე)

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრთა მიერ მოწონებულ იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ, კომისიას წარუდგინა დადგენილების პროექტი საქალაქო სამსახურის პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელების წესებში შესატან ცვლილებებთან დაკავშირებით.

ზაზა ცინაძე - მოგახსენებთ, რომ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შემუშავება განაპირობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულ პროგრამებში განხორციელებულმა ცვლილებებმა. წარმოდგენილი ცვლილებებით, მოხდება უკვე არსებული მიდგომის დაზუსტება და აღწერა, თუ როგორი პრაქტიკაა კონკრეტულ საკითხებთან მიმართებით საქალაქო სამსახურში. მაგალითად, როდესაც ტარდებოდა ღონისძიება, შესაბამისი ორგანიზაცია სამსახურს წარუდგენდა ანგარიშს. სამსახური მონიტორინგს უკეთებდა ღონისძიების ჩატარებას, როგორც ფინანსურ დოკუმენტაციას ასევე შინაარსობრივ ნაწილს და ამოწმებდა ღონისძიების ჩატარების დამადასტურებელ დოკუმენტებს. ახალი რედაქციით (დანართი 2) მე-8 და მე-11 მუხლების თანახმად, ზემოთ აღნიშნული პროცედურები გაიწერა წესში, რაც გახლავთ იურიდიული საფუძვლები, რომელიც მხარეებს შორის ხელშეკრულების დადებისას ნათლად უნდა ჩანდეს. პროექტით სხვა არსებითი ცვლილებები პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელების წესებში არ ხორციელდება, პროექტის შემოტანის ვადები იგივე რჩება. დადგენილებაში ბოლო ცვლილება შევიდა გასული წლის ბოლოს სადაც მოხდა თანხების რაოდენობის ასახვა, თბილისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სპორტსმენებისთვის ოლიმპიურ და არაოლიმპიურ სახეობებში მოპოვებული ტიტულების მიხედვით, ერთჯერადი ფულადი ჯილდოს გადაცემის კუთხით, აღნიშნული თანხები 2019 წლის ბიუჯეტში ასახულია. ახალი რედაქციით, დანართი 2-ის მე-6 მუხლს ემატება, ოლიმპიადაზე საპრიზო ადგილების დაკავების შემთხვევაში ფულადი ჯილდოს გადაცემის ნაწილი.

სხდომა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა, მომხსენებელმა დასმულ კითხვებს ამომწურავი პასუხი გასცა.

აზრი გამოთქვეს:

გიორგი ჩაკვეტაძე (კომისიის თავმჯდომარე) - მნიშვნელოვანი ცვლილებები შედის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელების წესებში. მოგეხსენებათ, რომ ყველა ის პროგრამა, რომელიც ხორციელდება თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან, სწორად და გამჭირვალედ უნდა მიმდინარეობდეს. ამ მხრივ მნიშვნელოვანი ცვლილებებია, მათ შორის ის, რომ პროექტები, რომლებსაც დააფინანსებს საქალაქო სამსახური უნდა ახლდეს სრული ანალიზი, თუ რა, როგორ გაიხარჯა, მნიშვნელოვანია, რომ პროცესშივე შესაძლებელია ყველა დოკუმენტაციის შესწავლა, ხარვეზების თავიდან აცილების კუთხით, რასაც უნდა ახლდეს შესაბამისი რეაგირება. ახალი რედაქციით არის წარმოდგენილი განცხადების შეფასების კრიტერიუმები, დეტალურად არის გაწერილი პროცედურები, ძირითადად საქალაქო სამსახურთან არსებული პროექტების

განმხილველმა და შემსწავლელმა კომისიამ, უნდა დაამუშავოს დოკუმენტაცია და წარუდგინოს სამსახურის უფროსს ინფორმაცია. ცვლილებაა საჯარო სამართლის იურიდიული პირის რეგისტრაციის ადგილთან დაკავშირებით. ასევე კომისიის რეკომენდაციაა რომ სპორტის შესახებ საქართველოს კანონში მოცემული დეფინიციიდან გამომდინარე („საქართველოს კანონი სპორტის შესახებ" მუხლი 8, პუნქტი 1-ლი „სპორტული ორგანიზაცია" განმარტებულია შემდეგნაირად: „საზოგადოებრივი და სხვა არასახელმწიფო სპორტული ორგანიზაცია არის სპორტული ფედერაცია, ასოციაცია, კლუბი და სხვა გაერთიანება, რომელიც მიზნად ისახავს სპორტის განვითარებას") „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების თაობაზე" დანართი 2-ის მე-2 მუხლის 1-ლ პუნქტს დაემატოს „სპორტული ასოციაციები" და აისახოს კანონის შესაბამისად „სპორტული ორგანიზაციის" განმარტება.

ზაზა ცინაძე (სამსახურის უფროსის მოადგილე) - დადგენილების პროექტის ახალი რედაქციით არსებული ცვლილება განპირობებულია იმით, რომ შესაბამისი პრიორიტეტები ბიუჯეტთან და წესთან თანხვედრაში მოვიდეს. განაცხადის შემოტანის კუთხით, იურიდიულად არაფერი შეცვლილა, წინა დეფინიცია იყო თბილისში რეგისტრირებული, ან მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირები, ახლა კი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საქართველოში რეგისტრირებული საჯარო სამართლის იურიდიული პირები, ან არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები ჩაიწერა. კომისიის რეკომენდაცია მისაღებია სპორტული ორგანიზაციების განმარტებასთან დაკავშირებით.

გიორგი ჩაკვეტაძე (კომისიის თავმჯდომარე) - რამდენიმე ტექნიკური ხასიათის რეკომენდაცია გვაქვს, რომელსაც მთავრობის გავლა არ დასჭირდება.
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების თაობაზე"
პირველი მუხლის „ბ" ქვეპუნქტის
„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამის „პროფესიული განათლების და დასაქმების ხელშეწყობა" (კოდი 07 04) ქვეპროგრამების: „ზოგადი განათლების და სასკოლო პროექტების ხელშეწყობა" (კოდი 07 02 01), „უწყვეტი განათლების და სტუდენტური პროექტების ხელშეწყობა" (კოდი 07 05 01), „სპორტული ღონისძიებები" (კოდი 08 06 01), „ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა" (კოდი 08 08 01) განხორციელების წესი", დანართი 2-ში, განხორციელდეს შემდეგი ცვლილებები:
1. მე-2 მუხლის:
ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით

„1. ამ წესით განსაზღვრული დაფინანსების მიმღები სუბიექტები შეიძლება იყვნენ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საქართველოში რეგისტრირებული საჯარო სამართლის იურიდიული პირები ან არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები, მათ შორის, საზოგადოებრივი ორგანიზაციები, ახალგაზრდული ორგანიზაციები, სტუდენტური თვითმმართველობები, უმაღლესი საგანმანათლებლო, ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები,

ახალგაზრდული ცენტრები, სპორტული ორგანიზაციები, მათ შორის, სპორტული ფედერაციები, სპორტული კლუბები, სპორტული ასოციაციები და სხვა სპორტული დაწესებულებები.”

2. მე-3 მუხლის:
ა) მეცხრე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით

„9. ევროპის და მსოფლიო ჩემპიონატებში და ოლიმპიურ თამაშებში პრიზიორების დაჯილდოების, სპორტული ორგანიზაციების სპორტული ინვენტარისა და ეკიპირების, ასევე, კომუნალური გადასახადების დაფარვისთვის დაფინანსების მოთხოვნის შემთხვევებში, არ გამოიყენება ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ვადა. ამ შემთხვევებში, სპორტის შესაბამისი ორგანიზაციების მიერ წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხას და განაცხადის ფორმას განსაზღვრას სამსახურის უფროსი.“

3. მე-5 მუხლის:
ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით

„1. წარმოდგენილი საპროექტო განაცხადის ამ წესით და მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობას ამოწმებს სამსახური (სამსახურის შესაბამისი სტრუქტურული ერთეული) და ხარვეზების არარსებობის შემთხვევაში განსახილველად წარუდგენს კომისიას“.

4. მე-6 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
ა) „2. საქართველოს სპორტული ეროვნული ფედერაციების წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, ქალაქ თბილისში ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატების ჩასატარებლად, თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, საჭიროების შემთხვევაში, შეიძლება განახორციელოს თანადაფინანსება პროექტის ჯამური ღირებულების მაქსიმუმ 20%-ით. განცხადებას თან უნდა ერთვოდეს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს რეკომენდაცია.“
ბ) „ 3. მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატებში და ოლიმპიურ თამაშებში მიღწეული წარმატებისთვის ქალაქ თბილისში ყოველი წლის პირველი იანვრისთვის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში განცხადების შემოტანის დღისთვის უწყვეტად რეგისტრირებული სპორტსმენების დაჯილდოება შესაძლებელია შემდეგნაირად:

ოლიმპიური თამაშები	
I ადგილი	15 000 ლარი
II ადგილი	10 000 ლარი
III ადგილი	7 000 ლარი

მსოფლიო ჩემპიონატი ოლიმპიური სახეობები	ევროპის ჩემპიონატი ოლიმპიური სახეობები
ეროვნული	ეროვნული

I ადგილი	7000 ლარი
II ადგილი	5000 ლარი
III ადგილი	3000 ლარი
ახალგაზრდული	
I ადგილი	6000 ლარი
II ადგილი	3000 ლარი
III ადგილი	2000 ლარი
ჭაბუკები	
I ადგილი	3000 ლარი
II ადგილი	2000 ლარი
III ადგილი	1000 ლარი

I ადგილი	5000 ლარი
II ადგილი	3000 ლარი
III ადგილი	2000 ლარი
ახალგაზრდული	
I ადგილი	3000 ლარი
II ადგილი	2000 ლარი
III ადგილი	1000 ლარი
ჭაბუკები	
I ადგილი	2000 ლარი
II ადგილი	1000 ლარი
III ადგილი	500 ლარი

მსოფლიო ჩემპიონატი არაოლიმპიური სახეობები	
ეროვნული	
I ადგილი	3000 ლარი
II ადგილი	2500 ლარი
III ადგილი	2000 ლარი
ახალგაზრდული	
I ადგილი	2500 ლარი
II ადგილი	2000 ლარი
III ადგილი	1500 ლარი
ჭაბუკები	
I ადგილი	2000 ლარი
II ადგილი	1500 ლარი
III ადგილი	1000 ლარი

ევროპის ჩემპიონატი არაოლიმპიური სახეობები	
ეროვნული	
I ადგილი	2500 ლარი
II ადგილი	2000 ლარი
III ადგილი	1500 ლარი
ახალგაზრდული	
I ადგილი	2000 ლარი
II ადგილი	1500 ლარი
III ადგილი	1000 ლარი
ჭაბუკები	
I ადგილი	1500 ლარი
II ადგილი	1000 ლარი
III ადგილი	500 ლარი "

5. მე-11 მუხლის:

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით

„1. ღონისძიების დასრულების შემდგომ არაუგვიანეს 20 (ოცი) კალენდარული დღისა ორგანიზაციამ, წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერით, სამსახურში უნდა წარადგინოს საბიუჯეტო ასიგნებებიდან გამოყოფილი სახსრების სამსახურსა და ორგანიზაციას შორის გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად მიზნობრივად ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები."

მარინა დათუკიშვილი (კომისიის წევრი) - ვეთანხმები მოსაზრებას, რომ ოლიმპიადაზე მოხვედრის შემთხვევაშიც შესაძლებელია გარკვეული წახალისების მექანიზმის შემუშავება, რადგან ეს ძალიან

დიდ შრომას და ძალისხმევას საჭიროებს. გასაგებია საქალაქო სამსახურის წესში შემავალი ცვლილებების მიზანი, რომელიც მოთხოვნების დეტალიზებას და გამჭირვალობას ემსახურება.

ავთანდილ ცინცაძე (კომისიის წევრი) - მიმაჩნია, რომ ამ ეტაპზე უფრო მიზანშეწონილი იქნება წარმატებული სპორტსმენების მწვრთნელები დავაჯილდოვოთ, ვინც ევროპის, ან მსოფლიოს ჩემპიონებს და პრიზიორებს წვრთნიან, ვიდრე ოლიმპიადაზე მოხვედრილთა დაჯილდოება, რადგან მათ სპორტის სამინისტრო გადასცემთ გარკვეულ თანხებს, მითუმეტეს, რომ ოლიმპიადა ოთხ წელიწადში ერთხელ ტარდება.

ზაზა ცინაძე (სამსახურის უფროსის მოადგილე) - დამსახურებულ მწვრთნელთა ერთჯერადი ფულადი ჯილდოს საკითხს მივესალმებით და ვმუშაობთ აღნიშნული მიმართულებით, ასევე ვმუშაობთ სპორტსმენებისთვის ოლიმპიადის წინა მოსამზადებელი შეკრებებისთვის თანხების მოძიების და ხელშეწყობის კუთხით, იმის გათვალისწინებით, რომ 2019 წელი ოლიმპიადისათვის მოსამზადებელი მნიშვნელოვანი პერიოდია.

შალვა ოგბაიძე (კომისიის წევრი) - ზაჰესში ყოფილი სპორტ დარბაზის ტერიტორიაზე არსებულ შენობაში, რემონტის და შემდგომ სპორტული სექციების მოსაწყობად გთხოვთ გავაკეთოთ ერთი გასვლითი შეხვედრა და მოვინახულოთ აღნიშნული შენობა სადაც შესაძლებელია რამდენიმე სპორტის სახეობის ფუნქციონირება. ასევე თბილისის ზღვაზე შპს. ,,ჯინო პარკი"-ს (ჯინო ფერედაის თბილისის) მიმდებარე ტერიტორიაზე შიდა გზაზე იკრიბებიან ,,ქუჩის მრბოლელები" რომლებსაც სურვილი აქვთ შესაბამისი ნებართვის შემთხვევაში მოაწყონ პერიმეტრი, რაც ხელს შეუწყობს ქუჩებში რბოლების შემცირებას და ამ მიმართულების სპეციალურ სივრცეში გადატანას.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების თაობაზე" საკითხი (მომხრე - გიორგი ჩაკვეტაძე, ლევან ჯაფარიძე, დავით ჭელიძე, ავთანდილ ცინცაძე, დავით რურუა, შალვა ოგბაიძე, მარინა დათუკიშვილი - (7), წინააღმდეგი - (0), თავი შეიკავა - (0)).

ქ. თბილისის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ ერთხმად მხარი დაუჭირა: „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების თაობაზე" დადგენილების პროექტს და გადაწყვიტა საკითხის გატანა, კომისიის შენიშვნების გათვალისწინებით, საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: გიორგი ჩაკვეტაძე